11/04/2025

ილონ მასკმა სოციალურ ქსელში გააზიარა კვლევა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მესამე და მომდევნო შვილების ნათლობის ინიციატივამ საქართველოში შობადობის მაჩვენებელი გაზარდა

ა.წ. 27 თებერვალს აშშ-ის მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ილონ მასკმა სოციალურ ქსელში გააზიარა ჟურნალ ,,მოსახლეობის ეკონომიკაში" გამოქვეყნებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მესამე და მომდევნო შვილების ნათლობის ინიციატივამ საქართველოში შობადობის მაჩვენებელი გაზარდა.

„მშვენიერი ახალი ნაშრომი გვაჩვენებს, როგორ გამოიწვია წახალისებამ და მრავალშვილიანი ოჯახების სტატუსის ამაღლებამ დაქორწინებულ ქართველ მართლმადიდებელ წყვილებში შობადობის 42%-ით ზრდა და მესამე მშობიარობის 100%-ით ზრდა. კულტურულ ლიდერებს შეუძლიათ, აამაღლონ ერების ნაყოფიერება“, – ნათქვამია პოსტში, რომელსაც ილონ მასკი აზიარებს.

გთავაზობთ აღნიშნული კვლევის ნაწილის ქართულ თარგმანს.

P.S. დღეისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ნათლულთა რიცხვი 48 000-ზე მეტია.

A wonderful new paper by @lymanstoneky shows how pronatal encouragement and raising the status of large families led to a 42% increase in the birthrate for married Georgian Orthodox couples and a 100% increase in third+ births!

Cultural leaders can lift the fertility of nations!



Lyman Stone SF Mar 10-13, SLC Mar 13-1... @lyman... · Feb 27

How can we raise fertility?

Today, I and 3 awesome coauthors have a new paper out at the Journal of Population Economics where we show that a huge part of the story has to be ELITE ...

156 618 2.7K 1.1M

კონფერენციის უკანასკნელი 2020 წელია 12 თებერვალი.

რელიგიური „ბეიბი-ბუმი“ - მტკიცებულება საქართველოდან

კვლევა ხაზს უსვამს არაეკონომიკური ფაქტორების: რელიგია და ტრადიციული ავტორიტეტული ფიგურების გავლენისა და პოტენციური ზემოქმედების როლზე, ნაყოფიერების მატებაზე ინდუსტრიალიზებულ, განათლებულ და დაბალი ნაყოფიერების მქონე საზოგადოებებში.

სტატია ეძღვნება შემცირებული შობადობის საპასუხოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინიციატივას ე.წ. „ბუნებრივ ექსპერიმენტს“ რომელიც დაიწყო 2007 წელს. კერძოდ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გახდა ყველა ჯვარდაწერილი წყვილის მე-3 და მომდევნო შვილის ნათლია. პატრიარქის ინიციატივა განპირობებული იყო შემდეგი პრობლემებით:

ა) ქვეყანაში დაბალი შობადობით;

ბ) აბორტის მაღალი მაჩვენებლით;

გ) ქორწინების გარე მშობიარობების მაღალი მაჩვენებლით;

დ) მოსახლეობის შემცირებით;

საქართველო დიდი ხანია დგას დემოგრაფიული გამოწვევების წინაშე. საქართველოს მოსახლეობამ პიკს მიაღწია 1990-იანი წლების დასაწყისში, რის შემდეგ სახეზეა შობადობის სტაბილურად შემცირება „საშუშაო ასაკის თაობის“ (15-64 წელი) შემცირების ფონზე.

ამას ემატება ის ფაქტიც, რომ 2000-2010 წლებში საქართველოს მოსახლეობის 10%-ზე მეტი გავიდა ქვეყნიდან და ეს მასიური ემიგრაციის ტალღა დღემდე გრძელდება.

სტატია ასახავს პატრიარქ ილია II-ის ინიციატივას, ე.წ. ბუნებრივ ექსპერიმენტს, და საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ რელიგიური „პოლიტიკის ინტერვენციის“ გავლენა შობადობის გამოსავალზე.

პოტენციურ გავლენას, როგორიც არის, რელიგია და ტრადიციული ავტორიტეტების როლი, შობადობის მაჩვენებლის გაზრდაზე, განათლებული და დაბალი შობადობის მქონე საზოგადოებაში.

პირველი მასობრივი ნათლობა ჩატარდა 2008 წლის 19 იანვარს. 2020 წლის მდგომარეობით 40 000 -ზე მეტი ჩვილი მოინათლა.

კვლევამ დაადგინა, რომ ყველაზე გამორჩეული იყო კურთხევის ინიციატივის გამოცხადების საწყისი წელი. ნათლობის პროგრამის ესკალაციის მეორე ტალღა ფიქსირდება 2011-დან 2015 წლამდე. **თუმცა მას აქვს შემცირების ტენდენცია 2015 წლიდან** (დიაგრამა 1)**.**



(დიაგრამა 1)



დიაგრამა 2.

საქართველოში სრული ნაყოფიერების მაჩვენებელი??? (TFR; Total fertility rate) 2007 წლის შემდეგ 24 თვის განმავლობაში 1.76-დან 2.3 ბავშვამდე გაიზარდა – ეს არის ძალიან დიდი და სწრაფი ზრდა, როგორც ნაჩვენებია დიაგრამაზე 2. ამ დრამატული ზრდისა და მისი შედარებითი მდგრადობის შედეგად, საქართველოში ბოლო 15 წლის განმავლობაში ნაყოფიერების ყველაზე მაღალი დონე ფიქსირდებოდა კავკასიის რეგიონში.

2007 წლის დეკემბერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, გამოაცხადა, რომ პირადად მონათლავდა მესამე და მომდევნო ბავშვს, რომელიც გაუჩნდებოდა ქორწინებაში მყოფ და ჯვარდაწერილ მართლმადიდებელ ქართველ მშობლებს. პატრიარქი პირადად გახდებოდა ბავშვების ნათლია. პატრიარქის ეს განცხადება პასუხობდა მზარდ წუხილს საქართველოში დაბალი შობადობის, მაღალი აბორტების რაოდენობის, ქორწინების გარეშე დაბადებების ზრდისა და მოსახლეობის კლების გამო. პატრიარქ ილია II-ისადმი მაღალი საზოგადოებრივი პატივისცემის ფონზე, ასევე ჩვილთა ნათლობისა და ნათელ-მირნობის თეოლოგიური და კულტურული პრიორიტეტების გათვალისწინებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, ეს დაპირება სავარაუდოდ მნიშვნელოვანი სტიმული იყო. 2008 წლამდე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თანამედროვე პერიოდში „მასობრივი

ტრადიციად აქცია. ამ კამპანიის დაწყების შემდეგ პატრიარქმა მონათლა 40,000-ზე მეტი მესამე და მომდევნო ბავშვი, რომლებიც ქორწინებაში მართლმადიდებელ ქართველ მშობლებს შეეძინათ.

ნაშრომში ჩვენ ამ განცხადებას ვიყენებთ როგორც ბუნებრივ ექსპერიმენტს, რათა გამოვიკვლიოთ „რელიგიური პოლიტიკის" ზეგავლენა ნაყოფიერების შედეგებზე.

სტატია წარმოადგენს რელიგიაზე დაფუძნებული ინტერვენციის გავლენას ინდუსტრიული, განათლებული და დაბალი შობადობის ქვეყნიდან ქალების გადაწყვეტილების მიღებაზე.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ პატრიარქ ილია II-ის ინიციატივამ, გახდეს ჯვარდაწერილი წყვილის მე-3 და მეტი შვილის ნათლია, დადებითი გავლენა მოახდინა ერის შობადობის მაჩვენებელზე.

კვლევის (სინთეტური კონტროლი და შეწყვეტილი დროის სერიების გამოყენება) გაანალიზებით დავადგინეთ შობადობის გაზრდის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

არსებობს ე.წ. **მაკრო** (სინთეტური კონტროლი) და **მიკრო** (განსხვავება განსხვავებაში, difference in difference) შეფასების მეთოდი.

კვლევის ანალიზი ეყრდნობა როგორც მაკრო, ასევე მიკრო მტკიცებულებებს. მაკრო დონის ანალიზისთვის ვიყენებთ საქართველოს შობადობის, დაბადებისა და ქორწინებების მაჩვენებლების მონაცემებს 1994-დან 2022 წლამდე (მოწოდებულია საქსტატის მიერ).

მიკრო დონეზე ვიყენებთ UNICEF-ის მრავალინდიკატორიან კლასტერულ გამოკითხვას (MICS). გამოკითხვა (Survey) ეფუძნება cross-sectional მეთოდს, კერძოდ: ქალებისა და ბავშვების კეთილდღეობის ძირითადი ინდიკატორების შეგროვება შინამეურნეობების შერჩევითი გამოკითხვის გზით. გამოკითხვაში მონაწილეობას მიიღო 15-დან 49 წლამდე ქალებმა.

მაკრო შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ: 2008-2013 წლების პერიოდში დაიბადა 38 000 ბავშვით მეტი, ხოლო მიკრო მოდელის

დაბადებული საქართველოში.

ყველაზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნაყოფიერების ზრდა განპირობებულია ქალებში ქცევის ცვლილებებით. ქალებმა შეცვალეს თავისი გადაწყვეტილება შვილ(ებ)ის გაჩენის სასარგებლოდ, ნათლობის კურთხევით მოსალოდნელი სარგებლის მიღების იმედით, რწმენით.

შობადობის მატების შეფასების დროს გასათვალისწინებელია საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის შესაძლებელი დადებითი გავლენა შობადობის მატების სასარგებლოდ. ორივე მოვლენა- აგვისტოს ომი და პატრიარქის ნათლობის კურთხევა, დროის თვალსაზრისით, ემთხვევა ერთმანეთს და შესაბამისად, ორივე (მოვლენა) შესაძლებელია იყოს პასუხისმგებელი საქართველოში შობადობის პროცესის მკვეთრ მატებაზე.

კვლევის ე.წ. DID (difference in difference) მიდგომით შესაძლებელია, ომთან დაკავშირებული, პრობლემის ზუსტად გადაჭრა. კერძოდ: იძულებით გადაადგილებული პირებისგან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შობადობის მაჩვენებელზე გავლენა არ მოუხდენია იძულებით გადაადგილებულ პირებს, რადგანაც მათ არ შეუცლია თავიანთი ქცევა ბავშვის გაჩენის სასარგებლოდ.

გარდა ამისა, საქართველოში შობადობის ოფიციალური მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ ქვეყანაში შობადობის მატება დაიწყო პატრიარქი ილია II-ის კურთხევის გამოცხადებიდან 7-12 თვის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე გაცილებით ადრე. ასე, რომ აგვისტოს ომი არ წამოადგენს შობადობის გაზრდაზე პასუხისმგებელ შემთხვევაში.

დამატებით შეიძლება ითქვას, რომ გაიზარდა ქორწინებების წლიური რაოდენობა 10.3 %-ით და მართმადიდებელ წყვილებში აბორტების რიცხვი შემცირდა 0.4 %-ით. მაკროფაქტებთან ერთობლიობაში ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში შობადობის „ბუმი“ 2007 წლის შემდეგ, დაფიქსირდა ქორწინებაში მყოფი მართლმადიდებელ ქალებში, რას ცხადად ამყარებს იმ ფაქტს, რომ შობადობის მატება განპირობებულია პატრიარქ ილია II-ის

ნათლობის კამპანიის გავლენით. ჩვენი დასკვნები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გავლენიანი ადამინების მხრიდან, რწმენასა და რელიგიურ ტრადიციებზე დაყრდნობით განხორციელებული კამპანია წარმოადგენს შობადობის ზრდის მნიშვნელოვან მოტივატორს.

კვლევის შედეგად მივიღეთ შემდეგი:

1. შობადობის ჯამური კოეფიციენტის[1] (National total fertility rate) **17%**-იანი ზრდა (0.3 ბავშვი 1 ქალზე);
2. ქორწინებაში მყოფ ქართველ მართლმადიდებელ ქალებში შობადობის მაჩვენებელის **42%**-იანი ზრდა;
3. ქორწინებაში მყოფ ოჯახებში შობადობის მაჩვენებლის **100%**-იანი ზრდა, მე-3 და მომდევნო შვილის შემთხვევაში;
4. ქორწინების რაოდენობის მატება;
5. რეგისტრირებული აბორტების რაოდენობის შემცირება.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფინანსებს, რომელსაც ქვეყნები ხარჯავენ პრენატალური პოლიტიკის შემუშავებისა და საგადასახადო ღონისძიებების გატარებისას, შობადობის მაჩვენებელის გაზრდის მიზნით, უკეთესი იქნებოდა, სახელმწიფოს განეხილა არამატერიალური ფაქტორების ანუ მისაბაძი რელიგიური მოდელის როლი, როგორც გზა, შობადობის უფრო ეფექტური დაგეგმვისაკენ, რომელსაც შეუძლია შეცვალოს შობადობის ქცევა ინდუსტრიალიზირებულ, განათლებულ და დაბალი შობადობის საზოგადოებებში.

ანუ ეს არის პატრიარქ ილია II-ის ნათლობის პოლიტიკის ეფექტი ქვეყნისა და ინდივიდუალურ დონეზე.

[1] შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებული ბავშვების საშუალო რიცხოვნობა.

sazu.ge